<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევისთვის და უწერის II შესახვევისთვის ლიბანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

2. გლდანის რაიონში, ჭრებალოს I შესახვევს და უწერის II შესახვევს მიენიჭოს ლიბანის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1 : 2976
გეოგრაფიული (გრძედი,განე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011733594944122

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405

 # 163170 **29 / სექტემბერი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისს N187 განკარგულების საფუძველზე, გლდანის რაიონში, ჭრებალოს ქუჩის გაგრძელებას და მასთან არსებულ ორ ჩიხს მიენიჭა ჭრებალოს სახელი. ამასთან, სამისამართო რეესტრში 2012 წლიდან აღრიცხულია ჭრებალოს I და II ჩიხები.

აღნიშნული განკარგულების და სამისამართო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ჭრებალოს I და II ჩიხების დასახელებები მეორდება.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს: უნიკალურობა და დუბლირების თავიდან აცილება; გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნულ ჩიხებს ჭრებალოს I და II ჩიხი) აქვთ ერთი და იგივე დასახელება, ხოლო მდებარეობენ სხვადასხვა ადგილზე შეუძლებელია მათზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის განხორციელება.

ამასთან, ქალაქ თბილისის 2020 წლის აეროგადაღების შედეგად შექმნილი ორთოფოტოგეგმის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ჭრებალოს ქუჩის შესახებ სამისამართო რეესტრში დაცული გეოგრაფიული (გავრცელების არეალი) მონაცემები აღარ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად, განახორციელოთ ზემოაღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების ცვლილება ან მონაცემების დაზუსტება.

დანართი: 4 (ოთხი) გვერდი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სამისამართო დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე